

ლარის ბანკნოტების და მონეტების ვარგისობის განსაზღვრისკრიტერიუმები

ლარის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არ იწვევენ ეჭვს ნამდვილობაში, ფიზიკური მდგომარეობის მიხედვით იყოფა ოთხ კატეგორიად:

ა) **I კატეგორიას** მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი დაუზიანებელი და ისეთი დაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, როგორიცაა:

- ა.ა) ბანკნოტები, რომელთაც გააჩნიათ მცირე ზომის დეფექტები (ნახევები, წარწერები, ლაქები, დაბინძურება და სხვ), რომლებიც არსებითად არ ცვლიან ბანკნოტის რეკვიზიტებს;
- ა.ბ) მონეტები, რომლებსაც აქვთ მცირე ზომის ნაკაწრები და კოროზიისნიშნები, შენარჩუნებული აქვთ ფერი და მკვეთრი გამოსახულებები.

ბ) **II კატეგორიას** მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი ისეთიდაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, როგორიცაა:

- ბ.ა) ბანკნოტები, რომელთაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი ზომის დეფექტები (ნახევები, წარწერები, ლაქები, დაბინძურება და სხვ), რომელიც ხელს არ უშლის ბანკნოტის დამცავი ნიშნების და ნომინალის იდენტიფიცირებას და შენარჩუნებულია ბანკნოტის ორიგინალური ზომა;
- ბ.ბ) მონეტები, რომლებსაც აქვთ მნიშვნელოვანი ზომის დეფექტები, დაბინძურება და კოროზია, რაც მთლიანობაში არ ცვლის მონეტის გამოსახულებას, ზომას, ფერს და შესაძლებელია მონეტის იდენტიფიცირება.

გ) **III კატეგორიას** მიეკუთვნება გადასახდელად ვარგისი შემდეგი სახის დაზიანებული ლარის ბანკნოტები და მონეტები:

- გ.ა) ბანკნოტები, რომელთაც შეცვლილი აქვთ ფერი, მაგრამშესაძლებელია მათი იდენტიფიცირება;
- გ.ბ) ბანკნოტები, რომლებიც დახეული და შეწებებულია, მაგრამმტკიცდება რომ შემადგენელი ნაწილები მიეკუთვნებიან ერთ იდაიგივებანკნოტს;
- გ.გ) ბანკნოტები, რომელთაც აქვთ ნებისმიერი დაზიანება, მაგრამშენარჩუნებული აქვთ ორიგინალი ბანკნოტის ზომის 50%-ზე მეტი და შესაძლებელია ბანკნოტის იდენტიფიცირება;
- გ.დ) მონეტები, რომელთაც აქვთ ნებისმიერი დაზიანება, მაგრამშენარჩუნებულია ორიგინალი მონეტის ზომის 50%-ზე მეტი და შესაძლებელია მონეტის იდენტიფიცირება.

დ) **IV კატეგორიას** მიეკუთვნება გადასახდელად უვარგისი ისეთიდაზიანების მქონე ლარის ბანკნოტები და მონეტები, რომლებიც არაკმაყოფილებენ ამ მუხლის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ კატეგორიებს.